როდესაც რომელიმე თქვენგანი მეჩეთში შევა, მიესალმოს შუამავალს და თქვას: "ალლაჰუმმა ფთაჰლიი აბვააბა რაჰმათიქ / ო ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც რომელიმე თქვენგანი მეჩეთში შევა, მიესალმოს შუამავალს და თქვას: "ალლაჰუმმა ფთაჰლიი აბვააბა რაჰმათიქ / ო ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები, ხოლო როცა მეჩეთიდან გამოვა, მიესალმოს შუამავალს და თქვას: ალლაჰუმმა ი'სიმნიი მინა შშაიტანი რრაჯიმ /ო ალლაჰ დამიფარე ჩაქოლილი ეშმაკისაგან", ალ-ჰაქიმის გადმოცემაში კი: «როცა გამოვა მიესალმოს შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და თქვას: ალლაჰუმმა აჯირნი მინნა შშაიტანი რრაჯიმ/ ო ალლაჰ შორს მამყოფე ჩაქოლილი ეშმაკისაგან».

[رواه ابن ماجه والحاكم] [კარგი (ჰასან)]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვასწავლა, რომ თუ ვინმეს სურს შევიდეს მეჩეთში უნდა მიესალმოს შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვებით: ალლაჰუმა სალლი ვა სალლიმ 'ალა მუჰამმად/ ო, ალლაჰ, დალოცე და მიესალმე მუჰამმედს, შემდეგ იტყვის: ალლაჰუმმა ფთაჰ ლიი აბვააბა რაჰმათიქ / ო, ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები. ხოლო როცა მეჩეთიდან გამოვა, მიესალმოს შუამავლს და თქვას: (ალლაჰუმმა ი'სიმნიი მინა შშაიტანი რრაჯიმ /ო, ალლაჰ, დამიფარე ჩაქოლილი ეშმაკისაგან), ალ-ჰააქიმის გადმოცემაში კი: (ალლაჰუმმა აჯირნი მინა შშაიტანი რრაჯიმ/ ო, ალლაჰ, დამიცავი ჩაქოლილი ეშმაკისაგან).

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65418